

სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“

ხარისხის პოლიტიკა



1. შესავალი დებულებები

მიზანი

სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ ხარისხის პოლიტიკა განსაზღვრავს ჰოლდინგის ხედვას, ძირითად პრინციპებს, განზრახვებსა და პასუხისმგებლობებს მისი მომსახურების, განხორციელებული პროცესების, საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

ჰოლდინგის ხარისხის პოლიტიკის მიზანია:

- გამოხატოს, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ჰოლდინგში ხარისხის მართვას, მის უზრუნველყოფას;
- განსაზღვროს ჰოლდინგის ხარისხის მართვის სისტემის საფუძვლად არსებული ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები;
- ნათლად წარმოაჩინოს ჰოლდინგის სწრაფვა თავისი ხარისხის მართვის სისტემის და მისი ცალკეული პროცედურების მუდმივი გაუმჯობესებისა და განვითარების მიმართულებით;
- მკაფიოდ მოახდინოს იმის დეკლარირება, რომ ჰოლდინგი ყოველთვის ორიენტირებულია კლიენტების და ყველა სხვა დაინტერესებული მხარის, საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე;
- შექმნას საფუძველი ჰოლდინგის ხარისხის მიზნების განსაზღვრისთვის.

დოკუმენტებთან კავშირი

წინამდებარე პოლიტიკა შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტთან ISO 9001:2015, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და „ენერგო-პრო ჯგუფის“ პოლიტიკებთან.

მოქმედების სფეროს განსაზღვრა

მოცემული ხარისხის პოლიტიკა ვრცელდება ჰოლდინგის ყველა სტრუქტურულ ერთეულზე და ეხება მისი საქმიანობის ყველა მიმართულებას.

2. ძირითადი ტერმინების განმარტება და შემოკლებები

- ჰოლდინგი / კომპანია / ორგანიზაცია - სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“.
- მართვის სისტემა - ორგანიზაციის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი ელემენტების ერთობლიობა, პოლიტიკის, მიზნების და ამ მიზნების მიღწევისთვის საჭირო პროცესების ჩამოყალიბებისთვის.
- ხარისხის მართვის სისტემა - ჰოლდინგის მართვის სისტემის ნაწილი, რომელსაც იყენებს ხარისხის უზრუნველყოფისთვის, მართვისთვის, ხარისხის პოლიტიკის დანერგვისთვის.

- ხარისხის პოლიტიკა - ჰოლდინგის ხელმძღვანელობის ოფიციალური განცხადება, რომელშიც ასახულია კომპანიის ძირითადი ხედვა, განზრახვები და მიმართულებები ხარისხთან მიმართებაში.
- ხარისხის მიზანი - ხარისხზე ორიენტირებული მიზანი, რომელსაც უნდა მიაღწიოს ჰოლდინგმა.
- დაინტერესებული მხარე - პირი, ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ჰოლდინგის გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე, მის ხარისხის მართვის სისტემაზე ან რომელზეც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის გადაწყვეტილებებმა და ქმედებებმა.
- პროცესი - გარკვეული ურთიერთდაკავშირებული მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს პირველადი მონაცემების საბოლოო შედეგად გარდაქმნას.
- პროცედურა - გარკვეული მოქმედებების ან პროცესის განხორციელების და კონკრეტული, წინასწარ განსაზღვრული გზა. პროცედურა შეიძლება იყოს ან არ იყოს დოკუმენტირებული.

3. ხარისხის პოლიტიკის ძირითადი ნაწილი

სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ დანიშნულებას წარმოადგენს საქართველოში ენერგო-პრო ჯგუფის სხვა კომპანიების ადმინისტრაციული მხარდაჭერა, მათი გამართული და ეფექტური ოპერირებისთვის საჭირო მომსახურების მიწოდების გზით. ესენია: ადამიანური რესურსების მართვა; შესყიდვები და ლოჯისტიკა; ფინანსები და ბუღალტერია; საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვა; იურიდიული მხარდაჭერა; აბონენტთა მომსახურება; ბილინგი; სემეკთან (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან) ურთიერთობის რეგულირება; კორპორაციული და საერთაშორისო ელექტროენერჯით ვაჭრობა-ანგარიშსწორება; შრომის უსაფრთხოება; გარემოს დაცვა; შიდა აუდიტი და ინსპექტირება; უძრავი ქონების მართვა და სამეურნეო საქმიანობა; კანცელარია; საზოგადოებასთან ურთიერთობა; უცხო ენებზე თარგმნა; უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ჰოლდინგისთვის ხარისხი ნიშნავს კლიენტების (მომსახურების დამკვეთი კომპანიების), საკანონმდებლო და ყველა სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნების ზუსტად განსაზღვრას და დაკმაყოფილებას, რათა უზრუნველყოს საქართველოში ენერგო-პრო ჯგუფის სხვა კომპანიების ეფექტური ადმინისტრირება/კონსულტაცია და, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს აღნიშნული კომპანიების მიერ ელექტროენერჯის გენერირების, მიწოდების და განაწილების, აბონენტთა მომსახურების პროცესების ეფექტურობაში.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ ბიზნეს პროცესები, ხარისხის მართვის სისტემა მთლიანობაში და მისი ცალკეული კომპონენტები დაფუძნებულია ქვემოთ ჩამოთვლილ პრინციპებზე, რომელთა დაცვაც უმნიშვნელოვანესია ჰოლდინგისთვის:

- აქცენტი კლიენტებზე და მათი მოთხოვნებისა და მოლოდინების სწორ იდენტიფიცირებასა და გათვალისწინებაზე;

- შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების მუდმივად და განუხრელად დაცვა;
- საქმიანობის წარმოება პროფესიონალურად და ეთიკის ნორმების დაცვით;
- ჰოლდინგის ხელმძღვანელობის მიერ ეფექტური ლიდერის როლის შესრულება, რომელიც ფოკუსირებულია ადეკვატური სტრატეგიული მიზნების დასახვაზე, ჰოლდინგის განვითარებასა და წარმატებაზე;
- ინდივიდუალური თანამშრომლების მიერ თავიანთი პასუხისმგებლობებისა და ფუნქციამოვალეობების ზედმიწევნით ცოდნა და სამუშაოს ყოველთვის თანმიმდევრულად, სათანადოდ შესრულება;
- ჰოლდინგში მიმდინარე პროცესებში და მიღებულ გადაწყვეტილებებში თანამშრომელთა მაქსიმალური ჩართულობისა და თანამონაწილეობის უზრუნველყოფა;
- თანამშრომლების, როგორც კომპანიისთვის ყველაზე ღირებული აქტივის განხილვა და მათთვის ჯანსაღი, კეთილგანწყობილი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა, მათი უფლებების დაცვა, მუდმივი ზრუნვა მათ მოტივაციასა და შრომით კმაყოფილებაზე ენერგო-პრო ჯგუფის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის გათვალისწინებით;
- გამჭვირვალე და ორმხრივი, ნდობასა და პატიოსნებაზე დაფუძნებული ურთიერთობა თანამშრომლებთან, საზოგადოებრივ ჯგუფებთან, კლიენტებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, აქციონერებთან, პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;
- მომწოდებლებისა და კონტრაქტორების შერჩევისა და კონტროლის გამართული, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე პროცესი, რომელიც დაფუძნებულია ენერგო-პრო ჯგუფის შესყიდვების პოლიტიკაზე;
- ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღება ფაქტობრივ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- სწრაფვა ჰოლდინგის მუდმივი განვითარებისა და გაუმჯობესებისკენ, რაც გულისხმობს როგორც სხვადასხვა პროცესის რეგულარულ მონიტორინგს, პერიოდულ შემოწმებას, შესაბამისი გამოსასწორებელი და პრევენციული ღონისძიებების დროულ გატარებას, ისე თითოეული თანამშრომლის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“ დარწმუნებულია, რომ მის წარმატებულ ფუნქციონირებას, ზრდასა და განვითარებას მნიშვნელოვნად განაპირობებს გამართული და ეფექტური ხარისხის მართვის სისტემა. შესაბამისად, ჰოლდინგი ყოველთვის ზრუნავს სისტემის დახვეწასა და მუდმივ გაუმჯობესებაზე, იყენებს ISO 9001:2015 სტანდარტს და მის მოთხოვნებს, როგორც საფუძველს, ჩარჩოს საკუთარი საქმიანობის, პროცესების, სისტემის გაზომვისა და შემდგომი განვითარებისთვის.

4. დასკვნითი დებულება

ჰოლდინგი უზრუნველყოფს ხარისხის პოლიტიკის ყველა დაინტერესებული მხარისთვის კომუნიკაციას და განათავსებს მას თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ჰოლდინგის ხარისხის პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელების მონიტორინგს უზრუნველყოფს კომპანიაში ხარისხის მართვის სისტემის დანერგვის ფარგლებში დანიშნული სამუშაო ჯგუფი.

მოცემული პოლიტიკის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხდება მმართველობითი დოკუმენტების სისტემით დადგენილი წესის შესაბამისად.